

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ნინიკაშვილი

ძმები რაზიკაშვილების
მინიატურული პროზა

ფილოლოგიის დოქტორის (1005)
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სპეციალობა: ქართული ლიტერატურა

თელავი
2017 წ.

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილილოგიის დეპარტა-მენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ლუიზა ხვიჩია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნინო კოჭლოშვილი**

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **შარლოტა კვანტალიანი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი **ნინო გიორგაძე**

დაცვა შედგება 20___ წლის "___" _____ საათზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: კორპუსი __ აუდიტორია __

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1
ტელ: +995 350 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ვებგვერდზე : <http://tesau.edu.ge/>

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნინო კოჭლოშვილი**

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ძმები რაზიკაშვილების – ვაჟას, თედოსა და ბაჩანას (ნიკოს) შემოქმედებას, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას, ქართველმა მეცნიერებმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს: წერდნენ ჰუმანიზმსა და ქრისტიანულ მოტივებზე ვაჟას შემოქმედებაში, მის მისტიკურ-ზღაპრულ სამყაროზე, ცალკეულ პოემებზე, მოთხრობებზე, პუბლიცისტურ წერილებზე; წერდნენ თედო რაზიკაშვილის თხზულებათა ლექსიკასა და მის საბავშვო პროზაზე; ბაჩანას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე... ლიტერატურათმცოდნეებსა და კრიტიკოსებს ძმები რაზიკაშვილების შემოქმედება სხვადასხვა კუთხით აქვთ შესწავლილი, თუმცა, ეს ამოუწურავი ზღვაა, სადაც მომავალი თაობის მკვლევრებიც უთუოდ იპოვიან ღიად დარჩენილ საკითხებს, ან ახლებურად შეაფასებენ წინამორბედთა მოსაზრებებს.

ერთი ასეთი ღიად დარჩენილი თემაა მინიატურის ადგილი ვაჟას, თედოსა და ბაჩანას პროზაულ თხზულებებში. ჩვენ შევეცადეთ, სწორედ ამ კუთხით შეგვესწავლა მათი შემოქმედება, გვემსჯელა და ცალკე ადგილი მიგვეჩინა რაზიკაშვილების მინიატურებისთვის, გამოგვეკვეთა მათი ჟანრობრივი ნიშნები და საზღვრები.

საკვლევი თემის აქტუალურობა: ჩვენი კვლევის საგანი ქართული მინიატურული პროზის ფუძემდებლების, ძმები რაზიკაშვილების შემოქმედებაა. დღემდე რაზიკაშვილების პროზის მცირე ჟანრებიდან მკითხველმა მხოლოდ მოთხრობები იცის. მოთხრობად განიხილავენ ვაჟას „მთის წყაროსაც“ და „სათაგურსაც“, თედოს „ნაკადულოსაც“ და „გულად მამლაყინწას ამბავსაც“... ასე გვასწავლიდნენ სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში და ასე ასწავლიან დღესაც; ისე, როგორც წლების წინ, რაზიკაშვილების ყველა მცირე მოცულობის პროზაულ ნაწარმოებს, იქნება ეს მინიატურა, სურათი, ეტიუდი თუ არაკი, მოთხრობას უწოდებენ. ასეთი კლასიფიკაციით ადგენენ კრებულებსაც.

ამ გაურკვევლობას თავისი მიზეზი აქვს:

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მცირე პროზაული ჟანრებიდან შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი მინიატურა. ლიტერატურის თეორეტიკოსებისთვის რთული აღმოჩნდა ამ ჟანრის თავისებურებების განსაზღვრა. დღემდე რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ცალკეულ ქართველ ავტორთა მინიატურების შესწავლას, გამოქვეყნდა სტატიები ქართულ ლიტერატურაში ამ ჟანრის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერების შესახებ, თუმცა განზოგადებული ნაშრომები მინიატურის თეორიისა და ისტორიის შესახებ თითქმის არ გვაქვს. სამეცნიერო კვლევა, ხშირ შემთხვევაში, არ გამოყოფს მინიატურას, როგორც ჟანრს. ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა ლექსიკონი კი ვრცელ, მაგრამ საკმაოდ დამაბნეველ და ერთიმეორის გამომრიცხავ, საწინააღმდეგო განმარტებას გვაძლევს.

სწორედ ამიტომ, მინიატურას ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ მოთხრობის ჟანრის ერთ-ერთ სტრუქტურულ სახესხვაობად განიხილავენ.

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ძმები რაზიკაშვილების მცირე პროზაული თხზულებების ახლებური კლასიფიკაცია და ამ კლასიფიკაციის პროცესში მოთხრობისა და მინიატურის მკვეთრი გამოიჯვანა.

ნაშრომის ძირითად მიზნად დავისახეთ ძმები რაზიკაშვილების მინიატურათა ანალიზი, მათი უმთავრესი მხატვრული თავისებურებების გამოვლენა და ამ ნაწარმოებების საფუძველზე ჟანრის არსისა და პრობლემატიკის განსაზღვრა; თუმცა, კვლევის პროცესში ბევრი ისეთი საინტერესო და აქტუალური საკითხი წამოიჭრა, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლიდით. მათ შორის არის:

- მინიატურის ჟანრის ისტორიისა და მისი ჟანრობრივი თავისებურებების გარკვევა;
- მისი კავშირის ჩვენება სხვა ეპიკურ ჟანრებთან;
- ფერწერული და პროზაული მინიატურის შეპირისპირება და საერთო ნიშნების გამოვლენა;
- მინიატურული პროზის განხილვა ქართული ლიტერატურის კონტექსტში და მისი ფესვების ძიება;

- XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში გამოძვალა ქართული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა და მინიატურის ადგილისა და როლის განსაზღვრა ამ პერიოდის ლიტერატურულ პროცესებში;
- ვაჟა-ფშაველას, ბაჩანასა და თედო რაზიკაშვილის მინიატურების გამიჯვნა სხვა მცირე ზომის პროზაული ნაწარმოებებისგან;
- რაზიკაშვილების მინიატურათა ტიპობრივი თავისებურებების ძიება და დადგენა;

ნაშრომის კვლევის ობიექტი და მეთოდები: სადისერტაციო ნაშრომის შესრულების პროცესში გამოვიყენეთ კვლევის თანამედროვე მეთოდები: სამეცნიერო წიგნებისა და სტატიების დამუშავების შედეგად მოხდა საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული ცოდნისა და გამოცდილების შესწავლა, ანალიზი, მათი ჩვენეულ შეხედულებებთან შეჯერება.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს: ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სტატიები და მონოგრაფიული ნაშრომები, რომლებიც მინიატურის ჟანრსა და ძმები რაზიკაშვილების შემოქმედებას ეძღვნება; ასევე, თეორიული ხასიათის გამოკვლევები ლიტერატურული ჟანრების განვითარების შესახებ. აღნიშნული მასალა დაგვეხმარა ძმები რაზიკაშვილების მინიატურული პროზის ნიმუშების ძირითადი მხატვრული თავისებურებების გამოვლენასა და ამ ნაწარმოებების საფუძველზე ჟანრის არსის განსაზღვრაში.

ანალიზის მეთოდით მინიატურული პროზა განვიხილეთ ქართული ლიტერატურის კონტექსტში; ძმები რაზიკაშვილებისა და მათი თანამედროვე ქართველი მწერლების მინიატურების ანალიზმა გამოავლინა ამ ჟანრის მხატვრული თუ სტილისტიკური თავისებურებები;

შედეგების ხერხი გამოვიყენეთ ქართული მინიატურის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ჯაჭვის აღსადგენად; ასევე, ფერწერული და ლიტერატურული მინიატურის შედარებამ მიგვიყვანა

დასკვნამდე, რომ ერთსაც და მეორესაც ფილიგრანული დამუშავება სჭირდება.

გვერდი ვერ ავუარეთ შეპირისპირების ხერხსაც. მინიატურის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის საზღვრების დადგენისა და ამ ჟანრის თავისებურების განსაზღვრისთვის აუცილებელი გახდა მისი კავშირის ჩვენება სხვა მცირე ეპიკურ ჟანრთან და მათ შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დაადგენა. ასევე, შეპირისპირების ხერხი გამოვიყენეთ ძმები რაზიკაშვილების მოთხრობებისა და მინიატურების გასამიჯნად და მათ შორის არსებული განსხვავების საჩვენებლად.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს რაზიკაშვილების პროზაული თხზულებებისგან მინიატურის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის გამოიჯვნა:

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას, თედოსა და ბაჩანას მცირე ჟანრის პროზაული ნაწარმოებები დღემდე ბევრ მკვლევარს აქვს შესწავლილი და გაანალიზებული, არავის უცდია მათი კონკრეტული ჟანრის კუთხით განხილვა და, როგორც აღვნიშნეთ, დღემდე ყველა მოთხრობად იწოდება. არადა, შემთხვევითი არ არის, რომ ვაჟა და მისი ძმები კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული იდეის გადმოსაცემად და მიზნის მისაღწევად სწორედ მინიატურის ჟანრს ირჩევენ.

რაც შეეხება **პრაქტიკულ ღირებულებას**, ნაშრომი შეიძლება დაეხმაროს ძმები რაზიკაშვილების შემოქმედებით, ქართულ ლიტერატურაში მინიატურის ჟანრის გენეზისით თუ, ზოგადად, ლიტერატურის თეორიით დაინტერესებულ პირებს შემდგომი კვლევებისთვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ქვეთავებისა და დასკვნისგან. შეიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდ 130 გვერდს და ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში წარმოდგენილია საკვალიფიკაციო ნაშრომის ძირითადი მიზანი, საკითხის შესწავლის მდგომარეობა, არსებული სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვა, საუბარია კვლევის აქტუალობასა და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

თავი I მინიატურული პროზის ისტორიიდან

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლიტერატურის თეორიაში ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი მინიატურის ჟანრი. ამიტომაც მოგვიხდა ნაშრომის პირველ თავში ვრცელი ექსკურსის გაკეთება და გახსენება, როგორ და სად ჩაისახა მინიატურული პროზა, გარკვევა იმისა, რა კავშირი აქვს მას ხელოვნების სხვა დარგებთან, განსაკუთრებით ფერწერასთან.

ქვეთავში – **ჟანრის დაბადება** – შევეცადეთ, მინიატურული პროზის წარმოშობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები შეგვეკრიბა და შეგვეჯერებინა. ამ ჟანრის ძირები მართლაც უძველეს დროშია საძიებელი. მისი წარმოშობისა და შემდგომი განვითარების საფუძველს ქმნიდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მცირე ფორმის იგავები თუ ფოლკლორული თხზულებები...

მიუხედავად იმისა, რომ მინიატურამ ბევრი ქვეყანა მოიარა, განსაკუთრებული პოპულარობა საბოლოოდ მაინც საფრანგეთში მოიპოვა. ამას, პირველ ყოვლისა, ხელი შეუწყო მოდერნისტული სკოლების ჩამოყალიბებამ, მათ შორის, სიმბოლიზმმა და იმპრესიონიზმმა, რომლებმაც სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანეს მცირე ფორმის პროზაული ჟანრები. და, რადგანაც ყველაზე დასრულებული სახე ლიტერატურულმა იმპრესიონიზმმა ავსტრიაში მიიღო და საუკუნეთა გასაყარზე სწორედ ვენაში მოღვაწე მწერალთა გაერთიანების – „ახალგაზრდა ვენის“ მიერ გაფორმდა

ლიტერატურულ მიმდინარეობად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, უფრო ვრცლად გვესაუბრა ამ ჯგუფის წარმომადგენელთა შემოქმედებაზე, რომელსაც ლიტერატურის თეორეტიკოსები „წმინდა იმპრესიონიზმის“ ნიმუშად განიხილავენ და, რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, თანამედროვე მინიატურის ჟანრის ერთ-ერთ ფუძემდებლად მოიაზრებენ.

ქვეთავი – მინიატურული პროზის ჟანრობრივი თავისებურებები – მოიცავს მსჯელობას მინიატურული პროზისთვის დამახასიათებელ რიგ ნიშან-თვისებებზე.

და მაინც, რა არის მინიატურული პროზა? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემის გარეშე გაგვიჭირდებოდა რაზიკაშივლიების პროზაული ნაწარმოებებიდან მინიატურათა გამოცალკევება და მათ მხატვრულ თავისებურებებზე, იდეურ-მხატვრულ თუ ფილოსოფიურ შინაარსზე მსჯელობა; ჟანრის ტიპოლოგიური თავისებურებების დადგენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ვაჟასა თუ თედო რაზიკაშივლის მინიატურათა ანალიზი. სწორედ ამიტომ, დასაწყისშივე შევეცადეთ, თავი მოგვეყარა მინიატურის, როგორც ლიტერატურული ჟანრის შესახებ არსებული ცოდნისთვის და ჩვენი დასკვნებიც გაგვეკეთებინა.

დღეს ლიტერატურათმცოდნეობაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია მცირე პროზის თეორია. თავად ტერმინი – მცირე პროზა – საკმაოდ პირობითი სახელწოდებაა იმ ნაწარმოებებისთვის, რომელთა მოცულობას ავტორი ინტუიციურად ადგენს.

მინიატურის, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი მახასიათებელია მცირე ზომა: 5-10 გვერდი, ზღვარი, რომელიც იშვიათად ირღვევა. მაგრამ ყველა მცირე ზომის ნაწარმოები როდი იწოდება მინიატურად.

ამ ჟანრის თავისებურების განსაზღვრისთვის აუცილებელია მისი კავშირის ჩვენება ეპიკურ ჟანრთან და იმის გარკვევა, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვს მას სხვა მცირე ფორმის ეპიკურ ჟანრებთან.

მინიატურას აქვს გარკვეული სიუჟეტური საწყისი, მაგრამ, რომანისა და მოთხრობისგან განსხვავებით, მას არ სჭიდება მოქმედება. და თუკი მინიატურაში მაინც გვხვდება მოქმედება, ის სიმბოლურია, ხშირად – პირობითი, შტრიხებით და დეტალებით გადმოცემული.

მინიატურაში აუცილებლად არის დინამიკა, მაგრამ არა სიუჟეტური, არამედ აზრობრივი და ემოციური.

ანეკდოტის, იგავისა თუ მოკლე მოთხრობისგან განსხვავებით, მინიატურა არ გვიამბობს, არ ჰყვება; არ განსჯის და არ მსჯელობს (განსხვავებით ესესგან); მინიატურა მდგომარეობის, მნიშვნელოვანი მოვლენის, ფაქტის კონსტატაციას ახდენს და მეტად ცხადი, გამოკვეთილი აზრი მიაქვს მკითხველამდე.

და უმთავრესი – მინიატურა არის პროპორცია! ეს იმას ნიშნავს, რომ ის შეიძლება ეხებოდეს გლობალურ თემას, სწორედ ისეთს, კარგ რომანს რომ მოუხდებოდა, მაგრამ სულაც არ ჰგავდეს შეკვეცილ, შემოკლებულ ნაწარმოებს. ის თითქოს იკუმშება და, ამავე დროს, ინარჩუნებს პროპორციას.

ასე რომ, მინიატურა არის მცირე ფორმის ეპიკური ჟანრის პროზაული ნაწარმოები, რომელსაც გააჩნია ინდივიდუალური ფორმა, კომპოზიცია, საკუთარი სტილი და სპეციფიკა.

შემდეგ ქვეთავში – **მინიატურა ფერწერასა და ლიტერატურაში** – შევეცადეთ, გარკვეული პარალელები გაგვევლო ფერწერულ მინიატურასა და პროზაულ მინიატურას შორის.

თითქმის ყველა ენციკლოპედიური ცნობარი და ლექსიკონი მინიატურის განმარტებას ამ სიტყვებით იწყებს: „მინიატურა ფერწერიდან ნასესხები ტერმინია...“ თავად ფერწერაში კი „მინიატურა პატარა ზომის, დახვეწილი და ფაქიზი ხელწერით შესრულებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებია“.

რა თქმა უნდა, ფერწერული მინიატურა აბსოლუტურად სხვა დარგია, სხვა მიმართულებაა ხელოვნებასა და კულტურაში, მაგრამ, შეუძლებელია, ლიტერატურულ მინიატურასთან, სახელწოდების გარდა, სხვა საერთო ნიშნები არ ჰქონდეთ.

მსგავსება, ჩვენი აზრით, ფერწერასა და ლიტერატურას შორის საკმაოდ დიდია და ამიტომაც გადავწყვიტეთ, ვრცლად გვესაუბრა მინიატურის ჟანრის ჩასახვასა და განვითარებაზე მხატვრობაში, მის მთავარ თემებზე, გამოსახვის ხერხებზე, საშუალებებზე, მიმართულებებსა და ტენდენციებზე... ამ მცირე ექსკურსმა გაგვიადვილა მინიატურული პროზის რიგი თავისებურებების გამოვლენა, რაც, საბოლოოდ, ნაშრომის მიზნის მიღწევაში დაგვეხმარა.

როგორც ფერწერაში, ლიტერატურაშიც მინიატურის მთავარი ნიშანი მისი ზომია. ზომას მოჰყვება სხვა, წმინდა ფორმალური თავისებურებები, რომელთა შორის პირველ ადგილზეა გულმოდგინე დამუშავება, გამოყვანა, აწყობა. ასე რომ, ნამდვილად არსებობს მსგავსება ფერწერულ მინიატურასა და ლიტერატურულ მინიატურას შორის – ორივე „მახვილ თვალსა და ოსტატის მტკიცე ხელს“ მოითხოვს. ლიტერატურულ მინიატურასაც, ფერწერულის მსგავსად, სკრუპულოზური შრომა და ფილიგრანული დამუშავება სჭირდება, შეზღუდული ჩარჩო ათმაგად და ასმაგად ზრდის ერთგან ხაზის, მონასმის, მეორეგან კი – სიტყვისა და ფრაზის წონას.

ფერწერაში თემატური შინაარსით, სისრულითა და კომპოზიციური წყობით მინიატურა არ ჩამოუვარდება დიდ ტილოს, ის თითქმის ასლია, იმეორებს ყველაფერს, მხოლოდ შემცირებული სახით.

ასეა პროზაშიც – უმცირესი ზომის მინიატურაში ხშირად იმდენად დიდი სათქმელია ჩატეული, რომანის შემთხვევაში ასობით გვერდი რომ დასჭირდებოდა.

ჩინელ ოსტატებს თუ დაფუჯერებთ, მინიატურა იქმნება არა მხოლოდ ხელით, არამედ გულით. ამასთან, რა თქმა უნდა, საჭიროა იმ უმთავრესი პრინციპებისა და ტექნიკური ხერხების ცოდნა, რომელსაც მინიატურისტი მხატვრები იყენებენ – ამის გარეშე შეუძლებელია ქალაქში გრძნობისა და აზრის გადატანა. ხაზები, რომლითაც მინიატურა იწერება, არ არის რთული, მთავარია ნახატის სივრცეში მათი სწორად განლაგება. გამოსახულება მნახველის სულს მაშინ შეეხება, თუ მხატვარს შეუძლია

ჩაუღრმავდეს საგანს, რომელსაც ასახავს და ამოიცნოს მისი არსი. ვიდრე ქალაქში პეიზაჟს, ჩიტს ან ყვავილს დახატავს, გულით უნდა იგრძნოს. ეს მთავარი წესია. ფერწერული მინიატურის მხატვრული ზემოქმედების ძალა ილუსტრირების პრინციპზე და ოსტატის ნიჭზეა დამოკიდებული.

მინიატურული პროზაც მაშინ არის ღირებული, თუ მას ხელს ჰკიდებს ნიჭიერი ავტორი, რომელიც კარგად ფლობს მხატვრული გამოსახვის სტილისტურ ხერხებს.

რაზიკაშვილების მინიატურები ძალიან ჰგავს ფერწერულ ნახატებს, რომლებიც ჩვენ თვალწინ იქმნება სიტყვებით, ფრაზებით, შედარებებით, ისევე როგორც ნახატი ხაზებით, მონასმებითა და ფერებით.

თავი II

რაზიკაშვილების მინიატურული პროზა ქართული ლიტერატურის კონტექსტში

ნაშრომის ეს თავი დაეთმო ქართული ლიტერატურის მიმოხილვას იმ მცირე პროზაული ჟანრების კუთხით, რომლებზეც უნდა აღმოცენებულიყო ვაჟას, თედოსა და ბაჩანას მინიატურები. პარალელურად, რაზიკაშვილების მცირე პროზაული ჟანრის ნაწარმოებების მხატვრული და თემატური თავისებურებების განზოგადების საშუალებით შევეცადეთ, მივსულიყავით ქართული მინიატურული პროზის არსის განსაზღვრამდე.

ვაჟა, და მასთან ერთად მისი ძმები – მათი მინიატურული პროზის ნიმუშები გვიბიძგებენ, უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ ქართულ ლიტერატურაში ამ ჟანრის აღმოცენებისა და განვითარების გზა.

ქვეთავში – **მინიატურის ქართული ფესვები** – საუბარია ქართული ლიტერატურის მდიდარ ისტორიაზე და მინიატურული პროზის ქართულ ფესვებზე.

ვფიქრობთ, საქართველოში მინიატურის წარმოშობას საფუძვლად უდევს ხალხური თქმულებები, ლეგენდები, ამბები, ზღაპრები, იგავები, ზეპირსიტყვიერებაში გაბნეული მცირე მოთხრობები...

აღიარებულია, რომ იგავების ჟანრს, კერძოდ, ბიბლიურ იგავებს ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. მათ ვხვდებით როგორც რელიგიურ, ისე საერო ხასიათის სხვადასხვა ძეგლში.

მინიატურაში ჩადებული ქარაგმის, ალეგორიის ამოცნობას მკითხველის ანალიტიკური გონება და ფანტაზია სჭირდება, რადგან მწერალი ამ მცირე პროზაულ ჟანრში არ გვაძლევს მზამზარეულ პასუხს, რჩევას, დარიგებას... ის უფრო საფიქრალ და სააზროვნო თემას წამოჭრის, აფორიაქებს კაცის გულსა და გონებას. სწორედ ეს არის ის მთავარი კომპონენტი, რაც აერთიანებს ბიბლიურ იგავებს, სულხან-საბას არაკებსა და მოგვიანებით მათ ნიადაგზე აღმოცენებულ მინიატურას.

ქვეთავში – ვაჟა-ფშაველა მინიატურული პროზის სათავეებთან და რაზიკაშვილების როლი ჟანრის განვითარებაში – საუბარია ძმები რაზიკაშვილების მიერ პროზაული მინიატურის ჟანრის განვითარებაში შეტანილ წვლილზე და მათ მნიშვნელობაზე.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურაში, მოთხრობის კვალდაკვალ, პროზის არაერთი მცირე ჟანრი იმკვიდრებს ადგილს, თან საკმაოდ წარმატებულად. იმ დროში მოთხრობის, ნოველისა და მინიატურის დიდოსტატებად მიიჩნეოდნენ შიო არაგვისპირელი, ნიკოლორთქიფანიძე, დავით თურდოსპირელი და სხვანი, მაგრამ, როგორც მწერალი სანდრო ცირეკიძე შენიშნავს, „ყველაზე ადრე ჩვენში მინიატურიზმის გზას დაადგა ვაჟა-ფშაველა“. სანდრო ცირეკიძის მსგავსად, მინიატურული ჟანრის დამკვიდრებას ქართულ ლიტერატურაში ბევრი მკვლევარი ვაჟაფშაველას სახელს უკავშირებს.

თავად ვაჟას ამ ნაწარმოებებისთვის მინიატურა არ დაურქმევია და არც მოთხრობებისგან გამოუყვია საგანგებოდ, რა თქმა უნდა, არც სიტყვათა რაოდენობა დაუთვლია, და არც ნაბეჭდი თუ ხელნაწერი გვერდები.

შესაძლოა, ეს წინასწარ დაუგეგმავად და ძალდაუტანებლად მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ქართულ ლიტერატურაში მინიატურის დამამკვიდრებლად ვაჟა-ფშაველა მიიჩნევა.

არ შეიძლება ვაჟა-ფშაველასთან ერთად ყურადღება არ გავა-მახვილოთ მისი ძმების – თედოსა და ბაჩანას როლზე მინიატურის ჟანრის განვითარებაში. მათი მცირე პროზაული თხზულებების განხილვისას გვაკვირვებს თემათა მრავალფეროვნება: სიყვარული, თავისუფლება, მარტოობა, პატრიოტიზმი, სიკვდილი, მტრობა, მეგობრობა, მოვალეობა, სამყარო, ბუნება, ადამიანი... ისინი მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად ირჩევენ მინი-ატურის ჟანრს და საოცარი სიცხადით გადმოგვცემენ ამ მოკლედ ნათქვამ ამბავში ბუნების ქმნილებათა მხატვრულ სახეებს.

მომდევნო ქვეთავში – **მინიატურა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში** – მოკლედ მიმოვიხილავთ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი მწერლების მინიატურათა ნიმუშებს, რომლებიც თემატიკისა და გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნებით ქართული მინიატურის განვითარების საინტერესო სურათს ქმნიან. ჩვენთვის საინტერესოა, რა ადგილი ეჭირა ძმები რაზიკაშვილების დროს და მომდევნო ათწლეულებში მინიატურას ქართულ ლიტერატურაში, როგორი იყო თემატიკა, გამოხატვის ფორმები?!

ქართულ ლიტერატურაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე ცვლილებები ჟანრთა სისტემის გარდაქმნაშიც აისახა: ეს პერიოდი გამორჩეულია გამოხატვის ახლებური მხატვრული ხერხებისა და ფორმების ძიებით.

ერთ-ერთი ასეთი ახალი ჟანრული წარმონაქმნი იყო მინი-ატურა. მან ძალიან მოკლე დროში მოიპოვა პოპულარობა, რაც იმით აიხსნება, რომ ჟანრი ექსპერიმენტირებისა და ინდი-

ვიდუალიზმის გამოვლენის უსაზღვრო საშუალებებს სთავაზობს ავტორს. ამავე დროს, ერთი შეხედვით მსუბუქი, მცირე ფორმა მეტად სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს მწერალს და დიდ ოსტატობას მოითხოვს მისგან.

ძმები რაზიკაშვილების კვალდაკვალ მინიატურის ჟანრს ბევრი ქართველი მწერალი მიმართავს. მათგან ქართულ ლიტერატურაში ზოგი ლირიკული ლექსის, ზოგი კი ვრცელი პროზაული თხზულებების დიდოსტატად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, მინიატურის ჟანრში თითქმის ყველამ მოსინჯა კალამი. გასული საუკუნის დასაწყისში მინიატურებს ქმნიდნენ ეკატერინე გაბაშვილი, ვასილ ბარნოვი, იროდიონ ევდომვილი, სანდრო ცირეკიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, მიხეილ ბოჭორიშვილი, დემნა შენგელაია, დია ჩიანელი, ლეო ქიაჩელი, ტიციან ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი... ეს პერიოდი ქართულ მწერლობაში მცირე ფორმის პროზაული ჟანრების აღზევების ხანაა.

ამ მოვლენას ქართველ კრიტიკოსთა არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა:

გასული საუკუნის დასაწყისში ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები, სადაც ლიტერატორები, მწერლები, მკითხველებიც კი შეშფოთებას გამოთქვამდნენ მცირე ზომის ეპიკური ნაწარმოებების, კერძოდ კი – მინიატურის აღზევების გამო.

თუმცა, დრომ დაგვანახა, რომ მინიატურა დროებითი მოვლენა არ ყოფილა ქართულ ლიტერატურაში და საკადრისი ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში. ამას უკვე ჩვენი დროის პროზაიკოსების – რევაზ ინანიშვილის, გოდერძი ჩოხელის, ნუგზარ შატაიძის, თამაზ ბიბილურისა და სხვათა მინიატურული შედეგები ადასტურებს. მინიატურის, როგორც კულტურული მოვლენის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით მაღალია თანამედროვე მედიასივრცეში: თითქმის ყველა ლიტერატურულ ვებგვერდზე შეხვდებით განყოფილებას „მინიატურა“; ამ ჟანრის პოპულარობაზე მიუთითებს გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი მინიატურის

ქანრში, რომელიც 2014 წლიდან ყოველწლიურად იმართება და საკმაოდ ბევრი მონაწილე, მკითხველი და შემფასებელი ჰყავს.

თავი III

ძმები რაზიკაშვილების მინიატურული პროზის მხატვრული თავისებურებები

ეს თავი მთლიანად ვაჟას, ბაჩანასა და თედოს მინიატურული პროზის ნიმუშების ანალიზს ეთმობა. ამ ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ თვით მინიატურებს შორისაც არსებობს ქვეტიპები, რომლებიც სტრუქტურულ-ჟანრობრივი და თემატური თავისებურებებით ხასიათდება.

ქვეთავში – **ძმები რაზიკაშვილები და მათი მინიატურები** – შევეცადეთ, ნათლად გვეჩვენებინა ის განსხვავება, რაც ამ მწერლების მოთხრობებსა და პროზაულ მინიატურებს შორის არსებობს.

ანალიზი კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს ზღვარს ამ ორ ჟანრს შორის და სრულ უფლებას გვაძლევს, თამამად გავაგრძელოთ მსჯელობა რაზიკაშვილების მინიატურათა პოეტიკაზე.

რაზიკაშვილების მინიატურები არაერთ ზოგადსაკაცობრიო პრობლემას იტევს; ერთგვერდიან თხზულებებში ვაჟა, თედო და ბაჩანა ახერხებენ, გმირის ცხოვრება აღწერონ, ან დაგვაფიქრონ სიცოცხლის საზრისზე, სიკვდილზე, არსებობის ამაოებაზე, თავისუფლებაზე, იმედზე, რწმენაზე... ეს მცირე ზომის ნაწარმოებები ადამიანის გრძნობათა ყველაზე დაფარულ კუნჭულებში აღწევენ, ხან აცინებენ და ხან კი მწარედ ატირებენ მკითხველს, სულს უფორიაქებენ, ფიქრებს აღუძრავენ და თან უბიძგებენ, თავად განსაჯოს და გადაწყვიტოს, რა არის ადამიანის მთავარი მისია ამქვეყნად.

ქვეთავში – რაზიკაშვილების პეიზაჟური მინიატურების ტიპური თავისებურებები – განვიხილავთ ბუნების თემაზე შექმნილ მინიატურებს და მათ ფილოსოფიურ ქვეტექსტებს, მხატვრული სახეებისა და სიმბოლოების მნიშვნელობას, იდეურ ჩანაფიქრს, ავტორის როლსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ძმები რაზიკაშვილების მინიატურებში ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია პეიზაჟი. ის სიუჟეტის განუყოფელი ნაწილია, ხშირად – მის საფუძველიც, რადგან ნაწარმოების მთავარ სათქმელს გადმოგვცემს. ამ მცირე პროზაულ თხზულებებში ბუნების აღწერას ფილოსოფიური ქვეტექსტი აქვს, ის უბიძგებს მკითხველს ფილოსოფიური რეფლექსიისკენ.

თავიანთი მცირე პეიზაჟური მინიატურებით რაზიკაშვილებმა გვიჩვენეს, რომ ბუნება ამდიდრებს ადამიანს, ასწავლის ცხოვრების ჰარმონიის დანახვასა და აღქმას, ადამიანი იწყებს ბუნების სახეთა შედარებასა და დაკავშირებას რეალურ სამყაროსთან; ბუნებასთან ურთიერთობით მკითხველი თითქოს ხელახლა აღმოაჩენს თავის თავს, ხშირად სრულიად მოულოდნელი მხრიდან, უღრმავდება საკუთარ შინაგან სამყაროს. ეს ურთიერთობა მძლავრ სტიმულს აძლევს მას ადამიანური განცდებისთვის, აღუძრავს ფიქრს წარსულზე, ახლანდელზე და მომავალზე, იწყებს ღრმა და ფხიზელ შეფასებას, თუ რა ადგილი უჭირავს მას სამყაროში, საზოგადოებაში.

რაზიკაშვილების პეიზაჟურ მინიატურებში რამდენიმე კანონზომიერება ვლინდება: ამ ჟანრის რიგ ნაწარმოებებში ავტორი „სიუჟეტურად“ არსებობს ტექსტში (ავტორი, როგორც ლირიკული გმირი); სხვაგან ის გამოდის მთხრობელის როლში, ზოგან კი დამალულია, სრულიად ქრება – ასეთია მინიატურები, სადაც დამოუკიდებელი ბუნების სახე ჩნდება.

სპეციფიკურია ბუნების ასახვა ვაჟას მინიატურებში, სადაც პერსონაჟი თავად ბუნებაა, ოღონდ გასულიერებული; აქ კიდევ ერთხელ თვალნათლივ იხატება ვაჟასეული პრინციპი – ბუნება ზედმიწევნით ასახავს ადამიანთა საზოგადოებას და ადამიანის შინაგან სამყაროსაც, „ბუნება ჩვენშია“. ბუნებაში ძლიერი ჩაგრავს

სუსტს, დაუცველს; ხშირად ფეხქვეშ ითელება მშვენიერება, სიკეთე და სხვა მორალური ღირებულებანი; მსგავსი ბრძოლაა გაჩაღებული კაცთა შორისაც, თუმცა ამაზე ვაჟა სიმბოლოთა ერთ გვესაუბრება. იის, მთის წყაროს, ფესვებისა თუ სალი კლდეების ფიქრსა და ნააზრევში მწერალი ადამიანურ იდეალებსა და მისწრაფებებს ასახავს.

ბუნებაში არსებული კანონზომიერების საკითხს, რომელსაც ვაჟა პუბლიცისტიკაში ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიური მსჯელობით აყალიბებს, მინიატურებში პერსონაჟთა მეშვეობით გამოხატავს.

რაზიკაშვილების მინიატურებს გამოარჩევს ფილოსოფიური და ლირიკული პროზის ხერხების ოსტატურად გამოყენება, დასამახსოვრებელი ხატოვანი სახეები და ის „რომანტიკული განწყობა“, რომელიც თხრობის სუბიექტივიზმში ვლინდება და მაქსიმალურად აახლოებს ავტორს გმირთან.

ქვეთავში – **მიხრობელი ვაჟა-ფშაველას მინიატურებში** – განვიხილავთ ვაჟას მინიატურათა იმ წყებას, რომელთაც დანარჩენებისგან თხრობის განსაკუთრებული სტილი – მონოლოგი გამოარჩევს. ასეთებია: „ია“, „ფესვები“, „მთის წყარო“... ამ ნაწარმოებებში ავტორი სრულიად დამალულია. აქ თვით გმირები მოქმედებენ, განიცდიან და ფიქრობენ ისე, რომ მათ მაგივრობას მწერალი არ იჩემებს.

და კიდევ, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ვაჟას მინიატურებს ასე უშუალოს ხდის და საოცარი ზემოქმედების ძალას ანიჭებს: მიუხედავად მნიშვნელოვანი ზნეობრივი პრობლემებისა, რომლებსაც ვაჟა თავის მინიატურებში აშუქებს, პირადად თვითონ არა თუ არ ერევა თხრობაში, უმნიშვნელო მორალისტურ შენიშვნებსაც კი თავს არიდებს. მასთან ვერ შეხვდებით დარიგებისა თუ ჭკუის სასწავლებელ ფრაზას, გამოთქმას. ამ ნაწარმოებებში მორალი თვით ამბიდან გამომდინარეობს, თვით ნაამბობი ქადაგებს მაღალ ზნეობრივ იდეალებს. ვაჟა გვასწავლის, გვზრდის და სულიერად გვამდიდრებს ყოველგვარი დიდაქტიკური ტონის გარეშე.

თხრობაში ამგვარი ჩაურევლობის წყალობით ვაჟა აღწევს ნაამბობისგან მიღებული შთაბეჭდილების არაჩვეულებრივ დამაჯერებლობას, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მკითხველზე ზემოქმედების ძალას.

დასკვნა

ძმები რაზიკაშვილების მინიატურული პროზა ჟანრული და მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით სრულიად ახალი მოვლენაა XIX–XX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ავტორი ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებდა და მინიატურის ფენომენი მათ შემოქმედებაში საფუძველს მოკლებული არ ყოფილა. გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის ტენდენცია ქართული მწერლობისთვის ძველი დროიდანვე ფასეული იყო. მცირე პროზაული ჟანრის ფესვების ძიებას საკმაოდ შორს, ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან, ბიბლიურ იგავებთან, ჰაგიოგრაფიულ მწერლობასთან და სულხან-საბა ორბელიანთან მივყავართ. მცირე პროზაულ ჟანრებს მიმართავდნენ სამოციანელებიც, მათ შორის, ილია, აკაკი და ალექსანდრე ყაზბეგი, მაგრამ მინიატურა, ყველა ჟანრული ნიშანთვისებით აღჭურვილი, პირველად ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს შორის გამოჩნდა.

ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში მინიატურის ჟანრი განხილულია როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ კრილში; წარმოდგენილია ჟანრის წარმოშობის ისტორიული და თეორიული ასპექტები; შეფასებულია პროზაული მინიატურის მსგავსება ფერწერულ მინიატურასთან; მინიატურის ჟანრობრივი ნიშნებისა და საზღვრების დადგენის მიზნით, შესწავლილია მისი მიმართება სხვა მცირე პროზაულ ჟანრებთან, კერძოდ, მოთხრობასთან, ნოველასთან, იგავთან, ნარკვევთან, ეტიუდთან და ა.შ.; გაანალიზებულია მინიატურის ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრების რთული და საინტერესო გზა...

ამგვარმა კომპლექსურმა მიდგომამ საშუალება მოგვცა, ნათლად გამოგვეკვეთა ძმები რაზიკაშვილების პროზაულ თხზულებებს შორის მინიატურის ადგილი, გაგვემიჯნა ისინი სხვა მცირე პროზაული ჟანრის ნაწარმოებებისგან და მხოლოდ ამის შემდეგ გვემსჯელა მათ ლიტერატურულ ღირებულებაზე.

პირველი შთაბეჭდილება, რაც რაზიკაშვილების მინიატურების კითხვისას გვიჩნდება, არის შეკუმშული ფრაზა, რომელიც ერთგვარ დინამიკურ ხასიათს ქმნის. განუმეორებელია მხატვრული სახეები, რომლებიც მხატვრულ ხერხთა ერთობლიობით იქმნება; ხატოვანი შედარებები და ეპითეტები ძირითად საგანს განსაკუთრებულ სიმკვეთრეს სძენს, მეტაფორა კი ხშირად თავად იქცევა მხატვრულ სახედ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტერატურული ნაწარმოების აღქმაზე დიდ გავლენას ახდენს მკითხველის ცოდნა წასაკითხი ნაწარმოების ჟანრის შესახებ. ეს ცოდნა განმსაზღვრელი ფაქტორია ტექსტის ანალიზისთვისაც: ლიტერატურული გვარისა და ჟანრის კატეგორიების გამოყენებით შეიძლება აღვწეროთ, რატომ აღიქვამენ მკითხველები ამა თუ იმ ტიპის ტექსტებს მსგავსად, და ავხსნათ, რატომ და როგორ იყენებენ ავტორები თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად განსაზღვრულ ლიტერატურულ მოდელებს. ამრიგად, ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების შესახებ ცოდნა გვეხმარება, აღვწეროთ და ავხსნათ ჩვენი დამოკიდებულება ტექსტების მიმართ.

ჩვენ კი დღემდე ვაჟა-ფშაველას, თედო რაზიკაშვილის, ბაჩანას, იროდიონ ევდოშვილის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვა ქართველ ავტორთა მინიატურებს ჯიუტად ვუწოდებთ მოთხრობას, რაც დიდ შეცდომად მიგვაჩნია.

ამ ხარვეზის ამოსავსებად საჭიროა მეტი მუშაობა, რათა ბოლომდე წარმოჩნდეს ქართველ მწერალთა მიერ ამ ჟანრის განვითარებაში შეტანილი წვლილი, გამოიკვეთოს მინიატურის ადგილი და როლი ეროვნულ მხატვრულ აზროვნებაში.

ჩვენი წინამდებარე ნაშრომიც ერთ-ერთი ცდაა ამ გზაზე.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები
ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:**

1. ვაჟა-ფშაველა ქართული მინიატურული პროზის სათავეებთან, სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2015, N13, გვ. 150-153;
2. მთხრობელი ვაჟა-ფშაველას მინიატურებში („ია“, „მთის წყარო“, „ფესვები“), III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათმორისი დიალოგები“, შრომები, თელავი, 2015, გვ. 430-435;
3. ვაჟა-ფშაველას პეიზაჟური მინიატურები, სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2016, N16, გვ. 148-152;
4. წვეთში ასახული ზღვა, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები, თელავი, 2016, N1, გვ. 100-103.

Телавский государственный университет
им. Якова Гогешашвили

На правах рукописи

Тамар Ниникашвили

Миниатюрная проза братьев Разикашвили

А в т о р е ф е р а т

диссертации, представленной на соискание
академической степени доктора филологии (1005)

Специальность: Грузинская литература

Телави
2017

Работа выполнена в департаменте грузинской филологии, на факультете гуманитарных наук Телавского государственного университета имени Якова Гогешашвили

Научные руководители:

Луиза Хвичия, доктор филологических наук,
почетный профессор

Нино Кочлошвили, доктор филологических наук,
профессор

Оппоненты:

Шарлота Кванталиани, доктор филологических наук,
почетный профессор

Нино Гиоргадзе, доктор филологических наук,
ассоциированный профессор

Защита диссертации состоится „ ____ “ ____ 2017 года в __ часов на заседании диссертационного совета гуманитарного факультета Телавского государственного университета имени Якова Гогешашвили: Корпус ____ аудитория ____

Адрес: Грузия, Телави, 2200
Улица Каргули университета №1
Тел.: +995 350 27 24 0

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке Телавского государственного университета им. Якова Гогешашвили и на вебсайте: <http://tesau.edu.ge>

Учёный секретарь диссертационного совета,
доктор филологических наук,
профессор: **Нино Кочлошвили**

Общая характеристика диссертационного труда

